

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა  
და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 3

ქ.ვანი თავისუფლების N65

28 ივნისი 2019 წელი

12:00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ:** რამაზ არველაძე, დავით ხარბეიშვილი, თენგიზ დვალიშვილი, ეთერ ჭიჭინაძე, ამირან ტალახაძე, გელა ღვიტიძე.

**საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდა:** ვლადიმერ ჭვალაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ძაგნიძე, თორნიკე ერისთავი. აპოლონ რამიშვილი.

*სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.*

**დანართი N1**

**მოწვეული პირი:** ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი - გიგა ბუაძე

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - რამაზ არველაძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე.

## დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის ანგარიშის მოსმენა 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს: გიგა ბუაძე

2. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2019 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა.

მომხს: რამაზ არველაძე

**გადაწყვეტეს:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით

## მოისმინეს :

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიგა ბუაძემ კომისიის წევრებს გააცნო საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ანგარიში 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა განმარტა, რომ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, დაფუძნებულია 2007 წლის 5 აპრილს ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ.

ცენტრს არ გააჩნია საკუთარი ფართი და ის დროებით განთავსებულია ვანის ყოფილი რაიონული საავადმყოფოს ამორტიზირებული შენობის მე-2 სართულზე.

რაც შეეხება სამუშაო პირობებს, სადაც ჩვენ ვიმყოფებით არია გაუსაძლისი მდგომარეობა, წლებია უკვე ველოდებით ახალ შენობაში გადასვლას, სადაც შესაძლებელი გახდება მუშაობა, ამ პრობლემასთან ერთად თანამშრომლის ხელფასები არის ძალიან მიზერული, წელს შედგენილია 2019 წლის ბიუჯეტი და გთხოვთ მომავლისთვის გაითვალისწინოთ ჩემი პრობლემები.

წლიური ბიუჯეტი წლებია უკვე შეადგენს 69 ათას ლარს, მყავს 12 თანამშრომელი, ასევე ვანის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 19 სამედიცინო დაწესებულება, მათ შორის 1 სტაციონარულ-პოლიკლინიკური გაერთიანება- ჯეოპოსპიტალსი-ვანი“.

კომისიის წევრმა ქალბატონმა ეთერ ჭიჭინაძემ დასვა კითხვა: მიმდინარე წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თუ დაფიქსირდა ინფექციური დაავადებები.

მომხსენებელმა აღნიშნა ,რომ საანგარიშო პერიოდში რაიმე ინფექციური დაავადების აფეთქების შემთხვევა არ დაფიქსირებულა .

ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით მდგომარეობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეტნაკლებად მშვიდი იყო.

საანგარიშო პერიოდში ანტირაბიულ კაბინეტს დახმარებისათვის მიმართა 140 დაზარალებულმა, გაიხარჯა 617 ლოზა ანტირაბიული ვაქცინა.

წითელას ეპიდაფეთქების თავიდან ასაცილებლად აცრილია არასრულად აცრილი ან საერთოდ აუცრელი 257 მოზარდი და მოზრდილი.

2019 წლის 5 თვეში C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში ჩართული იყო 51 პაციენტი.

ინფექციური დაავადების ყველა კერაში, საჭიროებიდან გამომდინარე, ჩატარდა ეპიდკვლევა.

/დანართი 2/

## მოისმინეს :

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2019 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა. კერძოდ:

1.კომისიის სამუშაო გეგმის განხილვა-დამტკიცება:

2.2019 წლის სოციალური პროგრამების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა;

3.ვანის მუნიციპალიტეტის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

4.ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოსმენა მუნიციპალიტეტში დაცვის კუთხით არსებული პრობლემებისა და მდგომარეობის შესახებ.

კომისიის წევრებმა მოიწონეს საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2019 წლის მე-3 კვარტლის სამუშაო გეგმა, რომელიც მზად არის გავიდეს ბიუროს სხდომაზე დასამტკიცებლად .

საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ რამაზ არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

რამაზ არველაძე

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა  
კომისიის სხდომის თავმჯდომარე